

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
GEORGIA

შპს „აუდიტ-სერვის-ცენტრი“

ქუთაისი, ნიუპორტის ქ. №29

ტელ: 25-00-76; მობ: 577 47-39-10



„AUDIT-SERVICE-CENTRE~ LTD

№29 Newport str., Kutaisi

Tel: 25-00-76; Mob: 577 47-39-10

18 ~ ნოემბერი 2016 წელი

ლიცენზია №154

№ 021222

აუდიტორული დასკვნა

სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ.ნადაბურის საჯარო სკოლის საქვებე შენობის სადემონტაჟო სამუშაოების და მისაღები მეორადი მასალების შეფასება

აუდიტორული ფირმა „აუდიტ-სერვის-ცენტრი“-ს ექსპერტმა ვ.ბაჯაძემ 2016 წლის 7 ნოემბერს დადებული ხელშეკრულება № 25-ის საფუძველზე შეაფასა სოფ. ნადაბურის საჯარო სკოლის საქვებე შენობის სადემონტაჟო სამუშაოები.

სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

სადემონტაჟო საქვების შენობა მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ.ნადაბურის საჯარო სკოლის ტერიტორიაზე.

საქვების შენობა არის ერთსართულიანი, მართკუთხედის ფორმის, ზომებით ღერძებში 6X6მ. შენობა აშენებულია 1975 წელს.

საძირკვლები – მონოლითური რკ/ბეტონის.

მზიდი კედლები – თეთრი აგურის.

გადახურვა – ანაკრები რკ/ბეტონის ღრუნტიანი ფილებით, სახურავი – ბრტყელი.

საქვებს გააჩნია 6 მ. სიმაღლის საკავმლე მილი. საქვების შენობის კედლები ნაწილობრივ ჩამოშლილია და კოროზირებულია. შენობა მოსწავლეთათვის საფრთხის შემცველია.

საქვებს შენობა ექვემდებარება დემონტაჟს, ასევე დემონტაჟს ექვემდებარება საქვების არსებული საკავმლე მილი.

სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება ორ რიგად:

I რიგი – მოსამზადებელი სამუშაოები.

II რიგი – დემონტაჟის სამუშაოები.

მოსამზადებელ პერიოდში სრულდება შემდეგი სამუშაოები:

- ა) დროებითი მავთულბადის ღობის მოწყობა
- ბ) შიგა ქსელის გამორთვა გარე ქსელიდან.
- გ) დროებითი სასაწყობო მოედნის მოწყობა, გამაფრთხილებელი, ამკრძალავი სიგნალების და ნიშნების მოწყობა.

სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება შემდეგ ეტაპებად:

- I ეტაპი – საკვამლე მილის და სახურავის დემონტაჟი
- II ეტაპი – დახურვის ანაკრები ღრუნტიანი ფილების დემონტაჟი.
- III ეტაპი – თეთრი აგურის მზიდი კედლების დემონტაჟი.
- IV ეტაპი – საძირკვლების დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოები წარმოებს „ზემოდან-ქვემოთ, სახურავიდან საძირკვლების ჩათვლით“, ელემენტარული დაშლისა და გამსხვილებული ბლოკებით დაშლის მეთოდებით, დემონტაჟის ტექნოლოგიის შესაბამისად.

მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი წარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით:

- ა) დახურვის ანაკრები ღრუნტიანი ფილების დემონტაჟი
- ბ) თეთრი აგურის მზიდი კედლების დემონტაჟი
- გ) საძირკვლების დემონტაჟი

ყველა კონსტრუქცია დემონტაჟის დაწყებამდე უნდა გაშიშვლდეს. კარებების, ფანჯრების სახურავის დემონტაჟი ხორციელდებოდა ხელით, ელემენტარული დაშლით.

თეთრი აგურის მზიდი კედლების დემონტაჟი ხორციელდება ორი მეთოდით:

- ა) ელემენტარული დაშლის გზით-მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი თეთრი აგურის კედლების დემონტაჟი.
- ბ) მონგრევის გზით – უვარგისი თეთრი აგურის კედლების დემონტაჟი. დახურვის ანაკრები ღრუნტიანი რკ/ბეტონის ფილების და საკვამლე მილის დემონტირება და ტრანსპორტირება მიწამდე ხორციელდება საავტომობილო ამწით, ტვირთამწეობით 16 ტნ.

ფილების გადახურვის კონსტრუქციის დემონტაჟი ხორციელდება ელემენტური დაშლის მეთოდით შემდეგნაირად:

- ა) ხდება გადახურვის კონსტრუქციის პირაპირების შეერთებისა და სარტყლების ბეტონის შრის დაშლა ხელით, სანგრევი ჩაქუჩით.
- ბ) ხდება ამწით ფილის დაჭრა ბაგირჩამჭედების მეშვეობით.

გ) ხდება ლითონის დამკავშირებელი ელემენტების ჩატრა და ფილის გათავისუფლება.

დ) ამის შემდეგ განთავისუფლებული კონსტრუქცია საავტომობილო ამწის ბაგირჩამშვების საშუალებით დემონტირდება სასაწობო მოედანზე.

საკავშლე მილის დემონტაჟი შესაძლებელია როგორც ცალკეულ სექციებად, ასევე ერთიან მთლიანობაში.

სამშენებლო ნაგვის აღება ხორციელდება ექსკავატორით ჩამჩის ტევადობით 0,25მ³. გატანა ხორციელდება თვითმცლელით.

მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი მასალები და კონსტრუქტირება დასაწყობება დროებით სასაწყობო მოედანზე.

საჭირო მუშები მექანიზმები, ტრანსპორტი და საქვების შენობის სადემონაჟო სამუშაოების ჩასატარებლად საჭიროა შემდეგი მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

1. საავტომობილო ამწე, ტვირთამწეობით 16 ტნ. 1ც.
საჭიროა 1 დღე.
დღეგანდელი საბაზრო ფასებით მომსახურების ღირებულება 500 ლარი
2. ექსკავატორი „უკუჩამჩა“, ტევადობა 0,25მ³ 1ც.
საჭიროა 1 დღე.
მომსახურების ღირებულება 250 ლარი.
3. მოძრავი კომპრესორი 1ც.
საჭიროა 1 დღე.
მომსახურების ღირებულება 150 ლარი.
4. ავტოთვითმცლელი 1ც.
საჭიროა 1 დღე
მომსახურების ღირებულება 200 ლარი .
5. ბორტული ა/მანქანა 1ც.
საჭიროა 1 დღე.
მომსახურების ღირებულება 200 ლარი .

დემონტაჟისათვის ასევე საჭიროა შემდეგი მცირე მექანიზაციის საშუალებები და და ინვენტარი.

1. პნევმონური სანგრევი ჩაქუჩი 1ც.
იჯარით აღება 50 ლარი.
2. ელ.სანგრევი ჩაქუჩი 1ც.
იჯარით აღება 50 ლარი.
3. ელექტრონული ჭრის მექანიზმი 1ც.

იჯარით აღება 30 ლარი.

4.ინვენტარული ხარაჩოები 10მ³

იჯარით აღება 50 ლარი.

საჭირო მუშები 10 კაც/დღე – 200 ლარი.

ამრიგად, სიიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. ნადაბურის საჯარო სკოლის საქვაბე შენობის სრული დემონტაჟისთვის შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრა 1680 (ერთიათასექვსასოთხმოცი) ლარით.

დემონტაჟის შედეგად სავარაუდოდ მისაღები მასალების რაოდენობა და მათი ღირებულების განსაზღვრა

№	საქვების შენობის დემონტაჟის შედეგად მისაღები მასალების ჩამონათვალი	ინფორმაცია საქვების შენობის დემონტაჟის შედეგად მისაღები მასალების შესახებ	განზ.	რაოდენობა	ერთ. ფასი (ლარი)	მთლიანი მიახლოებითი ღირებულება (ლარი)
1	სილიკატური აგური	წარმოადგენს საქვების შენობის დემონტაჟის შედეგად მისაღებ მეორადი მოხმარების სილიკატურ აგურს	ცალი	5000	0.1	500
2	რკ/ბეტონის გადახურვის ღრუნტიანი ფილა	წარმოადგენს საქვების შენობის დემონტაჟის შედეგად მისაღებ მეორადი მოხმარების რკ/ბეტონის გადახურვის ღრუნტიან ფილებს. 6.0X1.5X0.22მ.	ცალი	4.0	150	600
3	ჯართი	წარმოადგენს საქვების შენობის გათბობის ქვებს. გათბობის მილებს და საკაემური მილის დემონტაჟის შედეგად მისაღებ ჯართს.	ტნ.	2.5	240	600
სულ ჯამი						1700

დემონტაჟის შედეგად სავარაუდოდ მისაღები მასალების ღირებულება შეადგენს 1700 ლარს.

შპს „აუდიტ-სერვის-ცენტრი“-ს
დირექტორი:

/გ.ბაჯაძე/